შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მითხრა: «წამიკითხე ყურანი

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მითხრა: «წამიკითხე ყურანი» მე ვუთხარი: ო, ალლაჰის შუამავალო, მე წაგიკითხო შენ, როდესაც ის შენზე გადმოევლინა? თქვა: «დიახ», და დავიწყე სურა ან-ნისას კითხვა, სანამ შემდეგ აიათამდე არ მივედი: {და როგორ[იქნება განკითხვის დღეს] როცა ყოველი უმმათიდან[სარწმუნოებიდან] მოწმეს წარვადგენთ, და [როცა]შენც წარგადგენთ ამ ხალხზე მოწმედ} [ან-ნისა: 41], თქვა: «ახლა, საკმარისია», და როცა მას შევხედე თვალებიდან ცრემლი მოსდიოდა.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ითხოვა, რომ წაეკითხა მისთვის რაიმე ყურანიდან, მან უპასუხა: ო, ალლაჰის შუამავალო, მე როგორ წაგიკითხო შენ, როდესაც ის შენ გარდმოგევლინა?! შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: მიყვარს რომ ყურანი სხვისგან მოვისმინო. და წაუკითხა მას სურა ან-ნისა, როდესაც მან მიაღწია უზენაესის სიტყვებს: {და როგორ[იქნება განკითხვის დღეს]როცა ყოველი უმმათიდან [სარწმუნოებიდან] მოწმეს წარვადგენთ, და [როცა] შენც წარგადგენთ ამ ხალხზე მოწმედ}. ანუ: როგორი იქნება შენი და შენი უმმათის მდგომარეობა როდესაც შენ წარგადგენთ მოწმედ შენს უმმათზე, რადგან შენ მათ გადაეცი შენი ღმერთის წერილი, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: აქ შეწყვიტე კითხვა, იბნ მას'უდმა (ალლაჰი იყოს მისით კამაყოფილი) თქვა: როდესაც მას შევხედე თვალებიდან ცრემლი მოსდიოდა, შიშით იმ საზარელი სცენის გამო და მისი მიმდევრების მიმართ გამოჩენილი წყალობის გამო.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3571